მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია საქართველოში

თეიმურაზ გვეტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მოწვეული სპეციალისტი
აუდიტის, შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“

ABSTRACT

Introduction and aim: The goal of the strategy for the development of small and medium entrepreneurship of Georgia is to promote the further development of small and medium entrepreneurship and to restore the positive trends that existed before the pandemic. The economic policy of Georgia is based on the principles of the free market, where the driving force of economic growth and the creator of jobs is the private sector. Accordingly, the country's economic policy is focused on supporting the development of the private sector, especially small and medium entrepreneurship, and creating a favorable environment for its development. A strong and well-developed small and medium entrepreneurship sector significantly contributes to exports, innovations, the creation of a modern entrepreneurial culture, and at the same time plays a special role in raising the level of prosperity of the country.

In recent years, Georgia has implemented important economic reforms, the main goal of which was to promote the further development of the business and investment environment. With liberal legislation, reduction of administrative barriers and tax burden, improvement of state services and reduction of corruption, Georgia has become a regional leader in terms of one of the best business environments in the world, which is improving every year.

It was developed with extensive involvement of state structures and the private sector.

Research methodology: Qualitative methods were used in the study. In particular, the stages of small and medium entrepreneurship development in Georgia were studied.

Results and implications: The country's long-term economic development policy is based on free market principles, where the private sector is the main driver of the economy, creating jobs. Accordingly, the economic policy of the Government of Georgia is aimed at the development of the entrepreneurial and investment environment, the promotion of the business sector, including small and medium entrepreneurship, and the rapid development of the relevant infrastructure. In recent years, a unified state policy has been formed, the priorities and directions of which are focused on long-term, inclusive economic growth and development. However, the pandemic, which turned out to be a significant threat and a difficult challenge for the global economy, brought some changes to the agenda of the Georgian government's economic policy.

The Government of Georgia implements important strategies for the development of small and medium enterprises. The goal of the strategy for the development of small and medium-sized enterprises: to create a favorable environment for small and medium-sized enterprises, to increase their competitiveness and innovation capabilities, as a result of which there will be an increase in incomes and jobs and, accordingly, the achievement of inclusive and sustainable economic growth. In order to promote the development of small and medium entrepreneurship, strategic directions and relevant priority measures were determined based on the analysis of the current situation and institutional framework and the identification of the factors hindering the development of small and medium entrepreneurship.

Conclusion: The main principle of the country's economic development is the development and promotion of the private sector, which is the only source of defeating poverty, and there is no alternative to it. The Government of Georgia attaches special importance to small and medium entrepreneurship in the process of economic development and aims to further improve the business environment, which will contribute to the growth and development of small and medium enterprises. As a result of the reforms implemented by the Government of Georgia, the country's investment and business environment has been significantly improved, administrative barriers have been reduced and state services have been improved.

Keywords: small and medium business; development; integration; Competitiveness, private sector.

შესავალი და მიზანი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც ეკონომიკური ზრდის მამოძრა-

ვებელ ძალას და სამუშაო ადგილების შემქმნელს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე და მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარ მიზანს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შემდგომი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა. ლიბერალური კანონმდებლობით, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირებით, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებითა და კორუფციის შემცირებით საქართველო რეგიონალურ ლიდერად იქცა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნეს გარემოს კუთხით, რომელიც ყოველწლიურად უმჯობესდება.

შემუშავებული იქნა სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის ფართო ჩართულობით.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისას გამოყენებული იქნა თვისობრივი მეთოდები. კერძოდ, შესწავლილი იქნა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეტაპები საქართველოში.

შედეგები და გამოყენება: ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც კერძო სექტორი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე, ბიზნეს სექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებაზე. ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის პრიორიტეტები და მიმართულებები ორიენტირებულია გრძელვადიან, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. თუმცა, პანდემიამ, რომელიც მნიშვნელოვანი საფრთხე და რთული გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის, გარკვეული ცვლილებები შეიტანა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში.

საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან სტრატეგიებს ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი: მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა არსებული მდგომარეობის და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე.

დასკვნა: ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრინციპს კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს, რაც სიღარიბის დამარცხების ერთადერი წყაროა და მას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემო, შემცირებულია ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი; განვითარება; ინტეგრაცია; კონკურენტუნარიანობა, კერძო სექტორი.

* * * *

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნეს-გარემო - მნიშვნელოვნად არის შემცირებული ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება.

რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება:

- საგადასახადო პოლიტიკა:
- საბაჟო პოლიტიკა:
- ლიცენზიები და ნებართვები:
- სახელმწიფო მმართველობა:
- საერთაშორისო რეიტინგები:

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის კრიტერიუმებს. აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის და შემოღებულ იქნა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური (პრეფერენციული) დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის 5 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 13 განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი პრიორიტეტები:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირების და მხარდაჭერისათვის;
- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება; ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

ქვემოთ მოცემული SWOT ანალიზი **(იხ. ნახაზი)** მოიცავს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი: მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა არსებული მდგომარეობის და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ბიზნეს ასოციაციები:

- სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია;
- დამსაქმებელთა ასოციაცია;

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები: საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის შედეგად 2025 წლისთვის მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლებია:

1. მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა 20%-ით;
2. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 10%-ით;

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
• ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო • გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები • ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები • მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკონსულტაციო მომსახურება • მთავრობა კორუფციის გარეშე • მცირე საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის • რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი • ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები: DCFTA ევროკავშირთან; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, GSP აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან • კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა • მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტები • მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები • ახალგაზრდებში ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე • ელ. ენერგიაზე დაბალი ხარჯი	• სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა • კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე • დაბალი პროდუქტიულობა • ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა • ინოვაციების და კვლევისა და R&D დაბალი დონე • კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა • ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები • ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა • უცხოური ბაზრების შესახებ ცოდნის დაბალი დონე • ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა • ახალი ტექნოლოგიების/ძირითადი საშუალებების მაღალი ხარჯი • მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება • ბიზნესის დახურვის სირთულე
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა • კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება • DCFTA-ის ეფექტიანი გამოყენება - ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები • მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში • ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები DCFTA-ის მოთხოვნების შესრულების სფეროში • თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებთან და ჩინეთთან • შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა • კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა - შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში • წარმოების დივერსიფიკაცია • საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია • კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება • ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება • თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა • გახგრძობითი სამეწარმეო განათლების განვითარება • ევროპულ საწარმოთა ქსელში (Enterprise Europe Network) ინტეგრაცია - სავაჭრო კავშირები ევროკავშირში არსებულ კომპანიებთან • მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა • მეწარმეთა გაზრდილი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჯარო კერძო დიალოგის სტრუქტურირებული ფორმატის შექმნის გზით	• შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.) • ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება • პოლიტიკური არასტაბილურობა • მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე • არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები • საერთაშორისო კონკურენციის ფონზე მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები • DCFTA-ის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე • ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი მონაწილეობა • საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა

3. მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა 20%-ით.

ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს არსებობის ფონზე, კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კომერციული დავების ეფექტიანად მოგვარების საკითხი.

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა, რაც შესაბამისად აისახა სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებაში, კვლავ არსებობს მთელი რიგი პრობლემები ,რაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ამ ვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება დავების ალტერნატიული მოგვარების ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნული მექანიზმები ხელმისაწვდომია საქართველოში, თუმცა, მათი გამოყენების მაჩვენებელი ჯერ ისევ საკმაოდ დაბა-

ლია და ასევე დაბალია მეწარმეთა ცნობიერება ამ მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმოქმნილი დავების ეფექტიანი და სწრაფი მოგვარება. ამ მხრივ, მედიაციის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს ბიზნესის ერთგვარი „წარმომადგენლის" როლს კერძო კომპანიებსა და შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოსთან დავას ან კანონმდებლობაში/პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხს.

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება დღევანდელ ეტაპზე ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავებაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ძირითადი პრობლემების ღირებულების ზრდის თვალსაზრისით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბაზარზე შესვლის და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად მცირე და საშუალო მეწარმეობას ახასიათებს შემდეგი ძირითადი პრობლემები:

დღეს მცირე და საშუალო საწამოთა საწარმოო სიმძლავრეები და ტექნოლოგიები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით სავალალოა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების დარგში, სადაც ტექნოლოგიები საჭიროებს მოდერნიზაციას.

ინვესტიციების დაბალი დონე და საბანკო კრედიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნოლოგიების გამოყენებისა და მწარმოებლურობის ამაღლების შესაძლებლობებს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში განსაკუთრებით მაღალია ტრანსაქციული ხარჯები. ინფრასტრუქტურა, ქალაქთან შედარებით, ნაკლებად განვითარებულია და ძვირი ჯდება აგროსამრეწველო ქსელის შენახვა. გაცილებით რთულია ამ სფეროში სესხების მიღება.

ბოლო წლებში ენერგეტიკის ხარჯების ზრდა კონკურენტუნარიანობის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მცირე და საშუალო მეწარმეთათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსოფლიო ფასების ცვლილებას, საქართველოში მისი ზრდა განპირობებული იყო ხელისუფლების სურვილით, ეს სფერო ინვესტორებისათვის მიმზიდველი გაეხადა მაღალი ტარიფების დაწესებით, განსაკუთრებით ელექტრომიწოდებაში, რაც მნიშვნელოვნად აძვირებდა ამ ნედლეულის საწარმოთა მიერ შესყიდვებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან სახელმწიფო, მცირე და საშუალო მეწარმეები, მსხვილი ბიზნესი, მუნიციპალიტეტები, ასოციაციები და სხვ. თითოეულ მათგანს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მის ჩართვას ღირებულებათა შექმნის ქსელში, იზრუნოს ღირებულების ზრდის ხელის შემშლელი ბარიერების აღმოფხვრასა და სტაბილურობის გაძლიერებაზე.

სახელმწიფო ძირითადი ინსტიტუციური ცვლილებებით და სახელმწიფო პროგრამებით უნდა უზრუნველყოფდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობას.საქართველოში არსებობს უნიფიცირებული სისტემა, სადაც მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილ მეწარმეობასთან ერთად მოგების ერთნაირი დასაბეგრი რეჟიმით განისაზღვრება. მხოლოდ ის მეწარმეები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 ათას ლარს ან უფრო ნაკლებს შეადგენს, გათავისუფლდნენ დღგ-ის გადასახადიდან. მაგრამ ასეთი მხოლოდ მცირე მეწარმეების ნაწილია, რადგან კანონმდებლობით მცირე საწარმოებად ითვლება ის, რომლის შემოსავალი 500 ათას ლარზე ნაკლებია. ამდენად, ეს ზღვარი ძალიან დაბალია იმისათვის, რომ მცირე მეწარმეობას ჰქონდეს საგადასახადო ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის განვითარება უნდა მოხდეს როგორც ხელისუფლების მიერ ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, ისე კერძო ფირმებს შორის პარტნიორული ურთიერთობებითა და ერთობლივი ძალისხმევით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და, ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში". „აწარმოე საქართველოში": პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამას ახორციელებენ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ები - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის ეფექტიანობის ზრდის, ასევე, შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება და მონიტორინგი.

საქართველოს მთავრობა მცირე და საშუალო საწარმოებს მხარს უჭერს შემდეგი ორი მიმართულებით:

1. ბიზნესის ანტი-კრიზისული მხარდაჭერის სერვისები

საკონსულტაციო და სასწავლო შესაძლებლობები, მათ შორის: სექტორული საგანმანათლებლო პროგრამები, ტრენინგები და კონსულტაციები ექსპერტებთან.

2. ფინანსებზე წვდომა

ქართულ ბანკებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ევროკავშირი მცირე და საშუალო საწარმოებს სთავაზობს კრედიტებს განსაკუთრებული პირობებით და გრანტებს გარკვეულ ბიზნეს სექტორებში

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ზომებს ეკონომიკური პროცესების შეჩერების შედეგებთან ბრძოლისა და იმ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, რომლის წინაშეც დგას ყველა ბიზნესი, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეები. კერძოდ:

პირდაპირი დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სამთავრობო წყაროებიდან:

• მცირე და საშუალო ზომის კომერციული სესხების პროცენტის სუბსიდირება, 6 თვის ვადით, (ლარში აღებული სესხების შემთხვევაში, სახელმწიფო დააფინანსებს სესხის პროცენტის 80%-ს, ხოლო აშშ დოლარში ან ევროში აღებული სესხების შემთხვევაში – 70%-ს) იმ მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებისთვის (4-დან 50 ნომრამდე), რომელთაც სესხი სასტუმროს აშენების, გაფართოების, აღჭურვის, გარემონტების ან რეკონსტრუქციის მიზნით 2020 წლის 1 მარტამდე აიღეს. სესხის მაქსიმალური მოცულობაა 1,000,000 ლარი, 300,000 აშშ დოლარი ან 250,000 ევრო. აღნიშნული დახმარებით ისარგებლებს დაახლოებით 2000 სასტუმრო (ღონისძიების დაახლ. ღირებულება 8 მლნ ლარია).

• დღგ-ს ავტომატურად დაბრუნების მექანიზმის ამოქმედება და, მომავალი ერთი წლის განმავლობაში, ბიუჯეტიდან დაგეგმილი 600 მილიონი ლარის ნაცვლად, 1.2 მილიარდი ლარის დაბრუნება დღგ-ს სახით

1. სესხებისა და ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმში ახალი პირობების ამოქმედებას;

2. იმ ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალის გაფართოებას, რომელსაც სესხებისა და ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიღება შეუძლიათ;

3. საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების პერიოდის გაზრდას 24-დან 36 თვემდე;

4. თანადასაფინანსებელი სესხის მინიმალური მოცულობის შემცირებას 100,000 ლარიდან 50,000 ლარამდე;

5. ოპერაციული ხარჯების დაფინანსების გაზრდას

• „შეღავათიანი აგროკრედიტის" ძირითადი საშუალებების კომპონენტში გაიზრდება თანადაფინანსების პროცენტი [20,000-დან 1,500,000 ლარამდე]: არსებული წლიური 8%-ის ნაცვლად სახელმწიფო ფერმერს 48 თვის განმავლობაში დაუფინანსებს 11%-ს. გაიზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც, ნაცვლად არსებული 9%-ისა იქნება 12 %. დღესდღეობით, ნელნელა იხსნებიან მცირე და საშუალო საწარმოები და სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული პროგრამებით.

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცირე და საშუალო საწარმოები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფოსთვის მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა ყოველთვის რჩება და იქნება აქტუალური საკითხი. სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და დიდი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციების განვითარებას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf

2. http://geoeconomics.ge/?p=12805;

3. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1168081?publication=0;